

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)

პი ჯი ბი ჯორჯია

ს.ნ . 4000242563



Handwritten signature in blue ink.

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. ფულადი სახსრების მოძრაობა
4. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2020	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2019	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი 31.12.2018
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	165 549	594 658	1 254 696
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 460 260	1 344 436	5 182 365
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	359 144	102 925	-
მარაგები	-	-	-
- მზა პროდუქცია	-	-	-
- სხვა	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	24 480	22 886	22 030
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
- თვითღირებულების მოდელით	-	-	-
- გადაფასების მოდელით	-	-	-
გუდვილი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	-	-	-
ძირითადი საშუალებები	-	-	-
ინვესტიციები შეიღობილ კომპანიებში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	-	-
სულ აქტივები	2 009 433	2 064 905	6 459 091
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	15 062	-	4 673 546
ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2 293	2 293	1 840
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	-	-	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	-	-	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	-	-	-
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	-	-	-
სულ ვალდებულებები	17 355	2 293	4 675 386
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	200	200	200
საემისიო შემოსავალი	-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1 991 878	2 062 412	1 783 505
გადაფასების რეზერვი	-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	1 992 078	2 062 612	1 783 705
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2 009 433	2 064 905	6 459 091
სულ მოკლევადიანი აქტივები			
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2 009 433	2 064 905	6 459 091
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	17 355	2 293	4 675 386

შპს პიჯიბი ჯორჯია-ს

საიდენტიფიკაციო ნომერი 400242563

აღმასრულებელი დირექტორი

[Handwritten signature]



ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი 01.01.2020-31.012.2020	წინა საანგარიშგებო პერიოდი 1.01.2019- 31.12.2019
ნეტო ამონაგები	198 184	5 106 722
საქონლის გაყიდვიდან	198 184	5 106 722
მომსახურების გაწევიდან	-	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	-	-
გაყიდვების თვითღირებულება	(151 018)	(4 862 297)
საერთო მოგება	47 166	244 425
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	(17 817)	(5 477)
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-	-
საპროცენტო შემოსავალი	52 728	3 179
საპროცენტო ხარჯი	-	-
იჯარის ხარჯი	-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(196 799)	(45 336)
სულ საოპერაციო ხარჯები	(161 888)	(47 634)
საოპერაციო მოგება	(114 722)	196 791
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
მარაგების გაუფასურების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	44 188	82 116
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-	-
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(70 534)	278 907
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(70 534)	278 907
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მკვამირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გა	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	(70 534)	278 907
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2 062 612	1 783 705
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზ	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 992 078	2 062 612

შპს პიჯიბი ჯორჯია-ს

საიდენტიფიკაციო ნომერი 400242563

აღმასრულებელი დირექტორი

[Handwritten signature]



ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი 31.12.2020	წინა საანგარიშგებო პერიოდი 31.12.2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(526 025)	(745 333)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	96 916	85 295
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(429 109)	(660 038)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	594 658	1 254 696
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	165 549	594 658

შპს პიჯიბი ჯორჯია-ს

საიდენტიფიკაციო ნომერი 400242563

აღმასრულებელი დირექტორი



ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს პი ჯი ბი ჯორჯია ს/ნ 400242563 (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება), რეგისტრირებულია 2018 წლის 16 ივლისს მარტს . საწარმოს იურიდიული და ფაქტიური მისამართი ანგარიშგების პერიოდისთვის: ქ. თბილისი , ომარ ხიზანიშვილის 264

ხოლო საწარმოს ფაქტიური და იურიდიული მისამართი 2021 წლის 23 სექტემბრიდან შეიცვალა და მდებარეობს მისამართზე აჭარის არ , ხელვაჩაურის რ-ნი , სოფ. ახალსოფელი

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა (NACE 46210) საგარეო საბითუმო ვაჭრობა მარცვლეულით, თესლით და ცხოველების საკვებით , ასევე სასოფლო სამეურნეო ტექნიკით . კომპანია ფლობს ვაჭრობის ზოგად ლიცენზიას და ასევე სერტიფიცირებულია როგორც ორგანიკული საქონლით სავაჭრო კომპანია . ორგანიკული - მოყვანილი უსასუქოთ და ქიმიური ნივთიერებებისა , რეცხვის საშუალებების და სასუქების გამოყენების გარეშე , მოყვანილი/წარმოებული /შენახული/გადატანილი/გადაზიდული შესაბამისად პროდუქტი/პროდუქცა .

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2020 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ იყენებს მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით. საწარმოო სს ფასს-ის შესაბამისად აღრიცხვას აწარმოებს დაარსებიდან.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2. ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან ან სხვა საწარმოდან მიღებული სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენ-ტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისი საბოლოო ღირებულებით. საწარმოს სესხები არ ერიცხება. საწარმო არ სარგებლობს სესხებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

✓ 3.3. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტი-ზაციის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.6. მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.7. იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.8. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.9. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური

ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკუროს სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.10. მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; კომპანიას დაფუძნების მომენტიდან მოგება და დივიდენდი არ გაუნაწილებია პარტნიორზე დღემდე, ის ბრუნვაში ტოვებს მირებულ მოგებას.

აღმასრულებელი დირექტორი



ფულადი სახსრები	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2020	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2019	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი 31.12.2018
ფულადი სახსრები	165 549	594 658	1 254 696
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	5	28	500
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	165 544	594 630	1 254 196

შპს პიჯიბი ჯორჯია-ს

საიდენტიფიკაციო ნომერი 400242563

აღმასრულებელი დირექტორი



არამატერიალური აქტივი	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2020	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2019	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი 31.12.2018
არამატერიალური აქტივი (ლიცენზია)	24 480	22 886	22 030

შპს პიჯიბი ჯორჯია-ს

საიდენტიფიკაციო ნომერი 400242563

აღმასრულებელი დირექტორი

Handwritten signature



საქართველოს ეროვნული ბანკის კურსები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2020	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2019	წინა საანგარიშგებო პერიოდის საწყისი თარიღი 31.12.2018
1 USD = GEL	3,2766	2,8677	2,6766
1 EUR= GEL	4,0233	3,2095	3,0701
1 TLR= GEL	0,4462	0,4821	0,5076

შპს პიჯიბი ჯორჯია-ს

საიდენტიფიკაციო ნომერი 400242563

აღმასრულებელი დირექტორი

